აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის

2021-2022 წლების
სამოქმედო გეგმა



ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Automous Republic of Ajara

UNDP

სამოქმედო გეგმა შექმნილია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მისი ავტორი და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

კომიტეტის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი (შემდგომ - კომიტეტი) უზრუნველყოფს საბიუჯეტო-საზედამხედველო პროცესს და შეიმუშავებს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც პასუხობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის წინაშე მდგარ გამოწვევებს. საკუთარი მიზნების ეფექტიანად განხორციელებისთვის კომიტეტი სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით, უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისათვის ამზადებს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს, კოორდინაციას უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის განხილვას, უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის კანონების საქართველოს კანონმდებლობასთან და საერთაშორისო სამართლის ნორმებთან ჰარმონიზაციას, ზედამხედველობს ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებს და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისას კომიტეტი ხელმძღვანელობს ხალხის ინტერესების უზენაესობით, მრავალპარტიულობის, კანონიერების, საჯაროობის, ხელმისაწვდომობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპებით.

ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით კომიტეტმა დაინტერესებული პირების ჩართულობით განსაზღვრა და დაამტკიცა 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მოიცავდა: (1) კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის აპარატის მიერ გეგმის პირველადი პროექტის მომზადებას, (2) გეგმის განხილვასა და დაზუსტებას, (3) დაინტერესებულ მხარეებთან კომიტეტის პრიორიტეტებისა და აქტივობების განხილვას და (4) გეგმის განახლებას მიღებული რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინებით.

სამოქმედო გეგმის ფორმირების პროცესში კომიტეტმა გაითვალისწინა საკუთარი საქმიანობის სპეციფიკა, არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები და 2021-22 წლებისთვის დაისახა შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

I. კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება;
II. საზედამხედველო/საკონტროლო საქმიანობის გაძლიერება;
III. საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა;
IV. კომიტეტის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება.

სტრატეგიული მიზანი 1:
კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება

კომიტეტს პრიორიტეტულად მიაჩნია კომიტეტისა და მისი წევრების კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რაც მიმართული იქნება საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწის, გამარტივების, სრულყოფის, პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე სხვა საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორებისკენ. კომიტეტის მიერ დაგეგმილი კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს გამართული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, დაეხმარება აღმასრულებელ ხელისუფლებას დასახული პრიორიტეტების ეფექტიანად შესრულებაში.

სტრატეგიული მიზანი 2:
კომიტეტის საზედამხედველო/საკონტროლო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა

კომიტეტის მიზანია საზედამხედველო ფუნქციების გაუმჯობესება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფო სტრუქტურების გამართული მუშაობა და არსებული ხარვეზების დროული და ეფექტიანი გამოვლენა, რაც საშუალებას მისცემს უმაღლეს საბჭოს, შესაბამისი რეაგირება მოახდინოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამისთვის, კომიტეტის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ისეთი უწყებების მოსმენა, როგორიცაა აჭარის ფინანსთა სამინისტრო, ტურიზმის დეპარტამენტი, საგზაო დეპარტამენტი და სხვა.

საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში კომიტეტი გეგმავს ავტონომიური რესპუბლიკის უწყებების საბიუჯეტო მონიტორინგსა და ფინანსურ ზედამხედველობას; უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დასკვნის წარდგენას უმაღლესი საბჭოსთვის. ინფორმაციის მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის გამოვლენილ ფაქტებზე, კომიტეტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

სტრატეგიული მიზანი 3:
საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობას და მასში საზოგადოების დაინტერესებული წევრების ჩართულობისთვის სათანადო პირობების შექმნას. ამ მიზნით, კომიტეტი ყოველწლიურად ანახლებს სამოქმედო გეგმას, რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საზოგადოების ინფორმირებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, რეგლამენტის შესაბამისად, კომიტეტი ყოველწიურად მოამზადებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ და უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე რეგულარულად ასახავს კომიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სიახლეებს.

წარმომადგენლობითი ფუნქციების ზედმიწევნით შესრულებისა და კომიტეტის საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, კომიტეტი ქმნის დაინტერესებულ პირთა რეესტრს, რაც კომიტეტს დაეხმარება თემატური ექსპერტიზის დროულად მიღებაში და საზოგადოების დაინტერესებულ ჯგუფებთან ეფექტიან კომუნიკაციაში. კომიტეტი მოწოდებულია საზოგადოების წევრებთან ერთად ჩაერთოს კონკრეტული საკითხების შინაარსობრივ განხილვაში, მათ შორის, უზრუნველყოს იმ კანონპროექტების საჯარო განხილვა, რომელთა მიმართაც მაღალია საზოგადოების ინტერესი. ამასთან, კომიტეტი იზრუნებს იმაზე, რომ მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების სიღრმისეული და ხარისხიანი შესწავლისა და დამუშავების პროცესში მიიღოს გარე ექსპერტული დახმარება, რაც უზრუნველყოფს მაღალ სამოქალაქო ჩართულობას და მოსალოდნელი შედეგის გაუმჯობესებას.

სტრატეგიული მიზანი 4:
კომიტეტის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება

განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია კომიტეტის წევრებისა და კომიტეტის აპარატის მჭიდრო თანამშრომლობა დასახული მიზნების გარშემო. ამასთან, კომიტეტს პრიორიტეტულად მიაჩნია აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციებისა და ამოცანების ოპტიმალური გადანაწილება, აპარატის თანამშრომელთა უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაზრდა, კომპეტენციის დონის ამაღლება. კომიტეტი ითანამშრომლებს დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან, რათა მათი ხელშეწყობით ჩატარდეს პროფესიული ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და სემინარები; დაიგეგმოს და განხორციელდეს სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლის შესაძლებლობები.

საკუთარი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, კომიტეტი იმუშავებს დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებთან კონკრეტულ თემებზე, ასევე იზრუნებს სამუშაოდ სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტების მოწვევაზე, რომლებიც იმუშავებენ კომიტეტის აპარატთან ერთად და ხელს შეუწყობენ კომიტეტის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერებას.

კომიტეტის საქმიანობას წარმართავს და დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს კომიტეტი ხუთი წევრისა და აპარატის ხუთი თანამშრომლის შემადგენლობით.

როგორც აღინიშნა, შემუშავებული სამოქმედო გეგმა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა ანგარიშვალდებული ორგანოების, თვითმმართველი ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით გამართულ შეხვედრაზე განიხილა. კომიტეტმა დაინტერესებულ პირებს გააცნო საკუთარი პრიორიტეტები და ხაზი გაუსვა კომიტეტის საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის საჭიროებას. შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრებები კანონმდებლობაში არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მონეტარული ზღვრების გაზრდის საჭიროებაზე, შესყიდვების კანონმდებლობაში განსახორციელებელ ცვლილებებზე, ტურიზმის შესახებ ახალი კანონის შემუშავების საჭიროებაზე, მუნიციპალური ქონების განკარგვის პროცესის მოწესრიგებაზე. გამოთქმული რეკომენდაციების ნაწილი ასახულია სამოქმედო გეგმაში. მათ შორის, კომიტეტი გეგმავს მონაწილეობითი პროცესის საფუძველზე და ყველა შესაბამისი პირის ჩართულობით შეიმუშაოს ტურიზმის შესახებ კანონის პროექტი. ამავე დროს, კომიტეტი დაინტერესებული პირების მონაწილეობით განაგრძობს მსჯელობას შეხვედრაზე გამოთქმულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა სამომავლოდ აისახოს კომიტეტის სამოქმედო გეგმაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული მიზანი 1 - კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება

№	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო	შესრულების ვადები	პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი/ წევრები	კომიტეტის აპარატიდან პასუხისმგებელი პირი	საჭირო რესურსები
1.1	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კანონის შემუშავება და განხილვა	კანონი მიღებულია	დასკვნა, ოქმი	საშემოდგომო სესია 2021	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი
1.2	„საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილების პროექტის შემუშავება/ განხილვა	დადგენილება მიღებულია	დასკვნა, ოქმი	საშემოდგომო სესია 2021	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი
1.3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობის მიღება, დადგენილების პროექტის მომზადება, განხილვა	დადგენილება მიღებულია	დასკვნა, ოქმი	მაისი-ივნისი 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არუშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი
1.4	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობის მიღება, დადგენილების პროექტის მომზადება, განხილვა	დადგენილება მიღებულია	დასკვნა, ოქმი	მაისი-ივნისი 2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არუშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი
1.5	„ტურიზმის ორგანიზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კანონის შემუშავება/განხილვა	კანონი მიღებულია	დასკვნა, ოქმი	2021 საშემოდგომო სესია -2022 საგაზაფხულო სესია	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი

1.6	კომიტეტში შემოსული კანონპროექტების, დადგენილებების პროექტებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შემუშავება/განხილვა.	კანონპროექტების, დადგენილებების პროექტებისა და სხვა საკანონმდებლო აქტები შემუშავებულია/ განხილულია	დასკვნა, ოქმი	რეგულარულად იანვარი-დეკემბერი 2021-2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არუშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
1.7	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის და შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა	კანონი მიღებულია პრიორიტეტების დოკუმენტი განხილულია	დასკვნა, ოქმი	ნოემბერი-დეკემბერი 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არუშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
1.8	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის და შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა.	კანონი მიღებულია პრიორიტეტების დოკუმენტი განხილულია	დასკვნა, ოქმი	ნოემბერ-დეკემბერი 2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არუშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
1.9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის განხილვა	კანონი მიღებულია	დასკვნა, ოქმი	დეკემბერი 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არუშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
1.10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის განხილვა	კანონი მიღებულია	დასკვნა, ოქმი	დეკემბერი 2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არუშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
1.11	საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტების განხილვა	კანონპროექტები განხილულია	შემოსული კანონპროექტები	რეგულარულად იანვარი-დეკემბერი 2021-2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არუშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სტრატეგიული მიზანი 2 - კომიტეტის საზედამხედველო/საკონტროლო საქმიანობის გაძლიერება

№	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო	შესრულების ვადები	პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი/ წევრები	კომიტეტის აპარატიდან პასუხისმგებელი პირი	საჭირო რესურსები
2.1	კომიტეტის გამგებლობისთვის მიკუთვნებულ სფეროში უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის კონტროლი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, დასკვნა შემუშავებულია	წარმოდგენილი ანგარიშები, ოქმები, რეკომენდაციები	რეგულარულად იანვარი-დეკემბერი 2021-2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ლ.ჩაკვეტაძე	ადამიანური რესურსი
2.2	„ტურიზმის ორგანიზების შესახებ“ კანონის აღსრულების კონტროლი	ინფორმაცია მიღებულია, წარმოდგენილი ინფორმაცია კანონის აღსრულების თაობაზე განხილულია, დასკვნა შემუშავებულია	მიღებული ინფორმაცია, ოქმები, დასკვნა და რეკომენდაციები	2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსები
2.3	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის“ საკომიტეტო განხილვა	ანგარიში განხილულია/ მოსმენილია	დასკვნა, ოქმი, დადგენილება ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ	საგაზაფხულო სესია ივნისი 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.4	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის“ საკომიტეტო განხილვა	ანგარიში განხილულია/ მოსმენილია	დასკვნა, ოქმი, დადგენილება ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ	საგაზაფხულო სესია ივნისი 2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.5	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე“ ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების განხილვა	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, მოხსენება განხილულია	დასკვნა	საგაზაფხულო სესია მაისი 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.6	„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე“ ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების განხილვა	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, მოხსენება განხილულია	დასკვნა, ოქმი	საგაზაფხულო სესია მაისი 2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.7	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების განხილვა, ანალიზი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	დასკვნა, ოქმი	საგაზაფხულო სესია მაისი 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი

2.8	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების განხილვა, ანალიზი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	დასკვნა, ოქმი	საგაზაფხულო სესია მაისი 2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.9	2021 წელს აჭარაში ტურისტული სეზონის მზადებასთან დაკავშირებით აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაციის მოსმენა	ინფორმაცია განხილულია, საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	წარმოდგენილი ინფორმაცია, სხდომის ოქმი	საგაზაფხულო სესია ივნისი 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსი
2.10	2022 წელს აჭარაში ტურისტული სეზონის მზადებასთან დაკავშირებით აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაციის მოსმენა.	ინფორმაცია მოსმენილია, საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	წარმოდგენილი ინფორმაცია, სხდომის ოქმი	საგაზაფხულო სესია ივნისი 2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსი
2.11	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მიმართულებების (2022-2025 წლები) შესახებ ინფორმაციის განხილვა	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, ინფორმაცია განხილულია	დასკვნა, ოქმი	ივნისი 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ძირითადი მიმართულებების (2023-2026 წლები) შესახებ ინფორმაციის განხილვა	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, ინფორმაცია განხილულია	დასკვნა, ოქმი	ივნისი 2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.13	ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით ბათუმის ბულვარის ხელმძღვანელის ინფორმაციის მოსმენა.	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	წარმოდგენილი ინფორმაცია, ოქმი	2021 წლის ივნისი 2022 წლის ივნისი	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ი. ვერძაძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსი
2.14	მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ტრანსფერის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა	წერილი გაგზავნილია, ინფორმაცია მიღებულია	წარმოდგენილი ინფორმაცია	2021 წლის საგაზაფხულო სესია/2022 წლის საგაზაფხულო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი,
2.15	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტალის შესრულების განხილვა/ ანალიზი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	დასკვნა, ოქმი	საშემოდგომო სესია 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი,
2.16	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტალის შესრულების განხილვა/ ანალიზი.	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	დასკვნა, ოქმი	აგვისტო 2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი,

2.17	ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ინფორმაციის მოსმენა 2021 წელს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ	ინფორმაცია განხილულია, საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	წარმოდგენილი ინფორმაცია, ოქმი	2021 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსი,
2.18	ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ინფორმაციის მოსმენა 2022 წელს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ	ინფორმაცია განხილულია, საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	წარმოდგენილი ინფორმაცია, ოქმი	2022 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსი
2.19	ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის 2020 წლის და 2021 წლის 9 თვის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განხილვა	ინფორმაცია განხილულია, საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	წარმოდგენილი ინფორმაცია, ოქმი	2021 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე ტ. აროშიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსი
2.20	ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის 2021 წლის და 2022 წლის 9 თვის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განხილვა	ინფორმაცია განხილულია, საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია	წარმოდგენილი ინფორმაცია, ოქმი	2022 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე ტ. აროშიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსი
2.21	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების სამი კვარტალის განხილვა/ ანალიზი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	დასკვნა, ოქმი	2021 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი,
2.22	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების სამი კვარტალის განხილვა/ ანალიზი	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, ანგარიში განხილულია	დასკვნა, ოქმი	2022 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი,
2.23	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მოხსენების განხილვა	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, მოხსენება განხილულია	ოქმი	2021 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.24	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების განხილვა	მოხსენება განხილულია	ოქმი	2021 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი

2.25	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტზე ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის განხილვა	დასკვნა განხილულია	ოქმი	2021 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი,
2.26	2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მოხსენების განხილვა	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, მოხსენება განხილულია	ოქმი	2022 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.27	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მოხსენებასთან დაკავშირებით ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების განხილვა	საკომიტეტო მოსმენა ჩატარებულია, მოხსენება განხილულია	ოქმი	2022 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე	ადამიანური რესურსი
2.28	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტზე ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის განხილვა.	დასკვნა განხილულია	დასკვნა, ოქმი	2022 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ნ. დავითაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი
2.29	მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ტრანსფერის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა	წერილი გაგზავნილია, ინფორმაცია მიღებულია	წარმოდგენილი ინფორმაცია	2021 წლის საშემოდგომო სესია/2022 წლის საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსი
2.30	საკონსულტაციო საბჭოს შექმნა	საბჭო შექმნილია	საბჭოს წევრთა სია, საბჭოს დებულება, შეხვედრების ოქმი	საშემოდგომო სესია 2021	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. აროშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსი

სტრატეგიული მიზანი 3 - საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა

№	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო	შესრულების ვადები	პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი/ წევრები	კომიტეტის აპარატიდან პასუხისმგებელი პირი	საჭირო რესურსები
3.1	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2020-2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება/ წარდგენა	ანგარიში მომზადებულია, განხილულია საბჭოს სხდომაზე	ანგარიში 2020-2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	აგვისტო საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი
3.2	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის 2021-2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება/ წარდგენა	ანგარიში მომზადებულია, განხილულია საბჭოს სხდომაზე	ანგარიში 2021-2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	აგვისტო საშემოდგომო სესია	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი,
3.3	კომიტეტის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის განახლება/გადახედვა შედგენა	გეგმა მომზადებულია, სხდომა ჩატარებულია	2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა	საგაზაფხულო სესია	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არეშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი,
3.4	მოქალაქეებისა და ორგანიზაციების წერილების განხილვა და შესაბამისი რეაგირება	მოქალაქის, ორგანიზაციის წერილი მიღებულია	გაცემული პასუხები, მომზადებული შუამდგომლობა	რეგულარულად 2021-2022 წლების იანვარი-დეკემბერი	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე ლ. ჩაკვეტაძე ნ. დავითაძე მ. ჩიხლაძე	ადამიანური რესურსი
3.5	კომიტეტის გვერდის (sca.ge-ზე) გააქტიურება - სიახლეების დადება, არსებული ინფორმაციის განთავსება	გვერდი გააქტიურებულია	ვებგვერდზე განთავსებული აქტივობები, სიახლეები	რეგულარულად 2021-2022	მ. გვიანიძე გ. კირთაძე ტ. არეშიძე ი. ვერძაძე ლ. სირაბიძე	ი. ცეცხლაძე ლ. სურმანიძე	ადამიანური რესურსი
3.6	დაინტერესებულ პირთა რეესტრის შექმნა	დაინტერესებული პირები მოძიებულია, რეესტრი შედგენილია	რეესტრი	2021-2022	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე	ადამიანური რესურსები

სტრატეგიული მიზანი 4 - კომიტეტის ორგანიზაციული გაძლიერება

№	აქტივობა	შესრულების ინდიკატორი	ვერიფიკაციის წყარო	შესრულების ვადები	პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი/ წევრები	კომიტეტის აპარატიდან პასუხისმგებელი პირი	საჭირო რესურსები
4.1	კომიტეტის წევრების პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად შესაბამისი ტრენინგების გამართვა	ტრენინგი ჩატარებულია; გადამზადებულია არანაკლებ 2 წევრი	გაცემული სერტიფიკატი ტრენინგის მონაწილეთა სია	საჭიროებისამებრ	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე	დონორი ორგანიზაციები
4.2	კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად შესაბამისი ტრენინგების გამართვა	ტრენინგი ჩატარებულია გადამზადებულია არანაკლებ 2 თანამშრომელი	გაცემული სერტიფიკატი ტრენინგის მონაწილეთა სია	საჭიროებისამებრ	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე	დონორი ორგანიზაციები
4.3	პარლამენტის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობის გააქტიურება, ერთობლივი ტრენინგის ჩატარება	კონსულტაციები მიღებულია, ტრენინგები ჩატარებულია თანამშრომლობა გააქტიურებულია, ტრენინგის გეგმა შემუშავებულია	გაცემული სერტიფიკატი შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ ტრენინგის გეგმა	საჭიროებისამებრ	მ. გვიანიძე	ი. ცეცხლაძე	საქართველოს პარლამენტის სასწავლო ცენტრი